ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 56

24 მაისი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო, განათლებისა და კულტურის და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიებთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, გოჩა თევდორაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი - გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - მაია გბელიძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას განაგრძობს ქონების მართვის და საფინანსო საბუჯეტო კომისია.

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე (#12-031914291-03).

2. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (№11-01191412221 21.05.2019წ; №11-01191372030 17.05.2019წ) ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ (#15-031914199-03; #15-0319137115-03).

3. ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე 3069 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი 01.17.14.001.301) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე (#12-0319070105-03).

4. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 37190 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.14.06.003.048) და ქ.თბილისში, მთავარანგელოზის ქ.#30-ში მდებარე 394 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.17.01.048.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე (#12-0319070105-03).

5. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 19200 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.003.049) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე (#12-0319070105-03).

6. ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვთი 03/21) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75,16 კვმ ფართის (საკ/კოდი: 01.17.14.003.387.01.01.012) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (#12-031907021-03).

7. ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 71,26 კვ.მ ფართის (საკ/კოდი: 01.17.14.003.387.01.01.014) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (#12-031907022-03)

8. ქ.თბილისში, დაბა წყნეთში, ერეკლე II -ის ქუჩა #14-ში (საკ/კოდი 01.20.01.052.020.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (#12-031910875-03)

9. ქ.თბილისში, პეკინის გამზირი #35-ში (საკ/კოდი 01.10.13.013.006.01.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(12-031910875-03)

10. ქ.თბილისში, დიღმის მასივში მე-6 კვარტლის კორპ.#19-ში (საკ/კოდი 01.13.03.032.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.1(2-031910875-03)

11. ქ.თბილისში, კახეთის ხევი #5-ში (საკ/კოდი 01.17.02.069.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (12-031910875-03)

12. ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (საკ/კოდი: 01.16.05.032.024) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იანა ღუდუშაურისთვის (პ/ნ 01006006650) იჯარის ფორმით სარგებლობის უფელბით გადაცემის თაობაზე.(#12-031912338-03)
13. ქ .თბილისში, მიროტაძის ქუჩაზე (ყოფილი ოჟიოს) არსებული მიწის ნაკვეთების (საკ/კოდი: #01.10.13.033.926, #01.10.13.033.927; #01.10.13.033.159) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე (#12-031912338-03).
14. „ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის" (ს/ნ 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N379 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#12-031912379-03).
15. ქალაქ თბილისში, გლდანის I მასივის ტერიტორიაზე არსებულ 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული #1 შენობა-ნაგებობის (ს/კ: #72.13.03.111) დემონტაჟის და დემონტაჟის შედეგად მიღებული მატერიალური სახის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-03191352-03 15.05.2019).
16. ქ.თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა #50/18-ის მიმდებარედ 4კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.17.13.041.024) და ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა #50/18-ის მიმდებარედ 4კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.17.13.041.025) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Unique Stay Hotels"-ისათვის (ს/ნ 406092650) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.(#12-03191211-03)
17. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.11.04.011.009) და ქ.თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ 715 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.11.04.011.003) შპს „ჯი ემ ჯი"-სთვის (ს/ნ404398237) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ (#12-031912381-03).

18. ქ.თბილისში, ჟ.შარტავას ქუჩა #7-ში, შენობა-ნაგებობა #1-ში მე-14 სართულზე არსებული 392,52 კვმ ფართის (საკ/კოდი: 01.10.13.015.127) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროჰაბისთვის“ (ს/ნ 404502098) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე (#12-031912381-03).

19. ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი #3-ის მიმდებარედ 65 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.07.003.041) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ევროპროდუქტი“-სთვის (ს/ნ 202227134) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაოაბზე (#12-031912381-03).

20. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N216 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (№12-031914066-03 20.05.2019).

21. ქ.თბილისში, ნაკადულის ქუჩა #2 ა-ში (საკ/კოდი: 01.19.33.008.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (#12-031912835-03).

22. 2016 წლის 19 აპრილს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებასთან (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი - N160405188) დაკავშირებით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე (№12-031914067-03 20.05.2019).

23. ქ.თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) #29-ში (საკ/კოდი: 01.17.11.037.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(#12-031912835-03)

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ (№12-031914074-03 20.05.2019)

25. ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.13.07.021.321) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-0319140116-03 20.05.2019)

26. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი №89-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.24.008.002.01.523) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031914075-03 20.05.2019).

27. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №117-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.099) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031914075-03 20.05.2019).

28. ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ. და 1680 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (ს/კ: №01.14.06.006.091; №01.14.06.006.092) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-03191421-03 22.05.2019).

29. „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი მარტის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.(№12-03191439-03 23.05.2019წ)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების მიერ დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

ირაკლი ზარქუამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო, რომ ბიუჯეტი იზრდება 12 მლნ ლარით და განისაზღვრება 1 075 101,8 ათასი ლარით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან გაცილებით მეტი ინფრასტრუქტურული პროექტები იქნება და მეტი სოციალური მიმართულება დაფინანსდება. რაც შეეხება საკრედიტო ხაზის გახსნას, ყველა ბანკს გაეგზავნა შეთავაზება და ხელშეკრულება გაფორმდა მხოლოდ „თი ბი სი ბანკსა“ და „ლიბერთი ბანკთან“. წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში, საერთო ჯამში ხდება 28 მლნ-ის გადანაწილება. მ.შ. 12 მლნ სესხის (რაც დაკავშირებულია თბილისის მასშტაბით გზების კაპიტალური შეკეთება, მეტროს ვაგონების მოდერნიზაცია და მეწყერსაწინააღმდეგო საინჟინრო ნაგებობების მშენებლობასთან) დაახლოებით 12 800,0 ათასი ლარის პრიორიტეტებში არსებული თავისუფალი რესურსის და 3 200,0 ათასი ლარის პროგრამებში ტენდერებიდან მიღებული ეკონონომიების გადანაწილება.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია განავრცო გაიოზ თალაკვაძემ. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 12 000,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 075 101,8 ათასი ლარით.
ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული ეკონომიების გათვალისწინებით სულ გადანაწილებულია 28 046,5 ათასი ლარი შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:
იზრდება : გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) იზრდება 3 500,0 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში - 825,4 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) – 7 000,0 ათასი ლარი; კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 470,0 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 3 367,8 ათასი ლარით; თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) – 600,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 150,0 ათასი ლარით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04 01) – 210,0 ათასი ლარით; წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) – 189,0 ათასი ლარით; მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 1 087,2 ათასი ლარით; თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) – 300,0 ათასი ლარით; ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა (კოდი 08 04 03) – 50,0 ათასი ლარით; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 78,9 ათასი ლარით; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 490,0 ათასი ლარით; ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 01) – 118,0 ათასი ლარით; სარეზერვო ფონდი (კოდი 10 26) – 500,0 ათასი ლარით; გარდა ამისა, ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 8 389,2 ათასი ლარის ოდენობით მეტროს ვაგონების მოდერნიზაციისთვის.

მცირდება : გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) მცირდება 370,0 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 218,0 ათასი ლარით; სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 21,0 ათასი ლარით; ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) – 126,4 ათასი ლარით; უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) – 37,6 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 189,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 375,4 ათასი ლარით; სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 06 01 01) – 22,9 ათასი ლარით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 8 286,0 ათასი ლარით; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 45,3 ათასი ლარით; თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 03 01) – 1 087,2 ათასი ლარით; მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 20,0 ათასი ლარით; თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 09 01) – 2 500,0 ათასი ლარით; მერიის ადმინისტრაციის ასიგნებები (კოდი 10 02) - 26,7 ათასი ლარით; ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (კოდი 10 42) – 2 000,0

ათასი ლარით. გარდა ამისა, სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, იზრდება ა(ა)იპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა 294 ერთეულით, ხოლო ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამურად შემცირებულია 3 ერთეულით.

აზრი გამოთქვეს: ვახტანგ შაქარიშვილმა, ლილე ლიპარტელიანმა, ირაკლი ზარქუამ, ლევან ხაბეიშვილმა, რევაზ სოხაძემ, ბექა დავითულიანმა.

ვახტანგ შაქარიშვილი დაინტერესდა, თუ როგორია საკრედიტო ხაზის ათვისება. გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ჯერჯერობით საკრედიტო ხაზის ათვისება არის ნული და შესაბამისად პროცენტიც არ დარიცხულა.
ლილე ლიპარტელიანის შეკითხვა ეხებოდა 12 მლნ-ით საკრედიტო ხაზის გაზრდას, შედის თუ არა ეს თანხა ტრანსფერში. რაზეც გაიოზ თალაკვაძემ განუმარტა, რომ საბიუჯეტო კოდექსით ტერმინი „გათანამრებითი" ტრანსფერი აღარ არის, ეს არის სპეციალური ტრანსფერი, რომელიც შეთანხმებულია ფინანსთა სამინისტროსთან და სანამ სპეციალურ ტრანსფერს მივიღებთ, პროექტებზე შეფერხება რომ არ მოხდეს, ხდება საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდა.
ლევან ხაბეიშვილის კითხვა ეხებოდა ურბანული სამსახურის შტატების ზრდას და შესაბამისად ასიგნებების 200 000 ლარით გაზრდას. „რატომ იზრდება ბიუჯეტი 200,0 ათასით, ურბანული სამსახური კარგად მუშაობს? თუ ბიუროკრატიულ ხარჯებს ვზრდით?" გაიოზ თალაკვაძემ კი განმარტა, რომ ამ კუთხით ბიუჯეტი არ იზრდება. მომუშავეთა რაოდენობაც და ასიგნებაც პირველადი ბიუჯეტით დამტკიცებული იყო, არის 9 ვაკანსია და ხდება ვაკანსიის შევსება.
რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ მომხრეა ურბანული სამსახურის თანამშრომელთა ხელფასების ზრდის. თუ გვინდა, რომ მოსახლეობას ამ კუთხით გაუმჯობესებული სერვისები შევთავაზოთ, მომსამსახურე პერსონალსაც შესაბამისი ანაზღაურება უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ამ კუთხით სპეციალისტებს კერძო სექტორში მაღალი ანაზღაურება აქვთ, რასაც მერია კონკურენციას ვერ უწევს. ამიტომ რომ არ მოხდეს კადრების გადინება, უნდა მოხდეს მათი ხელფასების გაზრდა. რაც შეეხება საკრედიტო ხაზს მან განმარტა, რომ საკრედიტო ხაზი არ ნიშნავს ფულის ხარჯვას. ეს ნიშნავს, როდესაც მუნიციპალიტეტს ამის საჭიროება დაუდგება, ბანკი გამოთქვამს მზადყოფნას, რომ დააფინანსოს შესაბამისი თანხით.
ბექა დავითულიანის და ირაკლი ზარქუას აზრით, თუ გვინდა მოქალაქეთა ხარისხიანი და დროული მომსახურება, იმ სამსახურებს რომლებსაც საკმაოდ დატვირთვა აქვს, მაგალითად როგორც ურბანულ, ისე მუნიციპალურ ინსპექციას, უნდა იყოს შესაბამისი ანაზღაურებაც და შტატებიც უნდა დავამატოთ იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება.
შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.
მომხრე-5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და კომისიის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მიეცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გადატანას.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (№11-01191412221 21.05.2019წ; №11-01191372030 17.05.2019წ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.
საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა მაია გძელიძემ.
წარმოდგენილი ცვლილებებით, 2019 წლის ბიუჯეტში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 1 835 550 ლარით. თანხების გადმოტანა ხდება მესამე და მეოთხე კვარტლებიდან. მესამე კვარტლიდან ხდება 1 495 350 ლარის და მეოთხე კვარტლიდან 340 200 ლარის გადმოტანა. დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილებით. ირაკლი ზარქუამ დააკონკრეტა, რომ ცვლილება ეხება რაიონებში გზების მოვლა-შეკეთების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების, წყალმომარაგების პროგრამებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და სარეზერვო ფონდის კვარტალურ ცვლილებას და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.
მომხრე-5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახური, რაიონის გამგეობები, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო და საფინანსო საქალაქო სამსახური ითხოვს, მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების და სარეზერვო ფონდის გადანაწილებას ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ნინო კვეტენაძემ

მოისმინეს: ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე 3069 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი 01.17.14.001.301) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

წარმოდგენილი საკითხი ეხება გაცვლის ფორმით პრივატიზების საკრებულოსთან შეთანხმებას. ბროლოსანის ქუჩაზე 469 კვმ ფართი საკუთრებაში გადაეცემა თბილისის მუნიციპალიტეტს, ხოლო მუნიციპალიტეტი სანაცვლოდ მესაკუთრეს გადასცემს 3069 კვმ ფართს. მოქალაქეს ეკისრება გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების ფასთა შორის სხვაობის 42 000 ლარის გადახდა.

ირაკლი ზარქუას განმარტებით პიროვნებას მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნდა განეთავსებინა მსუბუქი კონსტრუქციის პავილიონი, რასაც ეწინააღნდეგებიან მეზობლები.

მომხრე – 4, ვახტანგ შაქარიშვილმა და გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 37190 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.14.06.003.048) და ქ.თბილისში, მთავარანგელოზის ქ.#30-ში მდებარე 394 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.17.01.048.021) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

შესათანხმებლად წარმოდგენილია გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხი. გოგებაშვილის I შესახვევში 4124 კვმ მიწის ნაკვეთის გაცვლა ხდება, ვაკის რაიონში მდებარე 37190 კვმ მიწის ნაკვეთსა და 394 კვმ მიწის ნაკვეთში. რაც შეეხება შეფასებებს, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ 37190 კვმ დ 194 კვმ ფართობები შეფასდა 3527570 ლარად, ხოლო 4124 კვმ მიწის ნაკვეთი შეფასდა 3679945 ლარად.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს ნაციონალური ხელისუფლების დროს მიენიჭა „ტზ-1“, კომპანიას ჩამოაჭრეს ტერიტორიის დიდი ნაწილი და სამართლიანობის აღდგენის მიზნით ხდება მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობა.

მომხრე – 4, ვახტანგ შაქარიშვილმა და გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 19200 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.003.049) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხი ეხება, კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობს სპორტის სასახლის უკან ბენდელიანისა და ალექსიძის ქუჩებს შორის. კომპანიამ მიწის ნაკვეთი შეიძინა 2007 წელს აუქციონზე, მაგრამ ვერ ახერხებს მშენებლობის ნებართვის აღებას. იმ მოსაზრებით, რომ მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტრეტულია გამწვანებული სივრცე, მიზანშეწონილად

იქნა მიჩნეული მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობის საკითხი. კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მას გადაეცემა ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე 19200 კვმ მიწის ნაკვეთი ფერდის შენარჩუნების პირობით. საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა ფასთა შორის სხვაობა 1000 ლარი.

მომხრე - 4, ვახტანგ შაქარიშვილმა თავი შეიკავა. გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვთი 03/21) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75,16 კვმ ფართის (საკ/კოდი: 01.17.14.003.387.01.01.012) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ნანა კაჭარავას, რომელიც არის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, 2017 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს განკარგულებებით გადაეცა მხატვრების დასახლების მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6738 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე წილობრივად 240 კვმ მიწის ნაკვეთი. მესამე პირთა მხრიდან წარდგენილი სასარჩელო განცხადების საფუძველზე წარმოქმნილილ სასამართლო დავის გამო, დღემდე ვერ ხერხდება სამშენებლო პროექტების განხორციელება. მოქალაქე უარს ამბობს მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს განკარგულებებით განსაზღვრული მისთვის პროპორციულად გადაცემულ მიწის ნაკვეთზე და გამომდინარე იქედან რომ არის სოციალურად დაუცველი, მთვარობას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ფართის გადაცემა.

საკითხთან დაკავშირებით ირაკლი ზარქუამ განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი საკრებულოში შემოსულია დიდ ხანია და სამართლებრიივი პრობლემის გამო საკითხის განხილვა გადადებული იყო. პრობლემა აღარ არის და განიხილება ნანა კაჭარავასათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვთი 03/21) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75,16 კვმ ფართის გადაცემა.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 71,26 კვმ ფართის (საკ/კოდი: 01.17.14.003.387.01.01.014) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

წარმოდგენილი საკითხი წინა საკითხის ანალოგიურია. ამ შემთხვევაში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 71,26 კვმ ფართი (საკ/კოდი: 01.17.14.003.387.01.01.014), გადაეცემა ქეთევან ბედუკაძეს.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, დაბა წყნეთში, ერეკლე II -ის ქუჩა #14-ში (საკ/კოდი 01.20.01.052.020.01.003) მდებარე უმრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მოქალაქე დემურ სადღობელაშვილს პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 109,43 კვმ ფართი. გამგეობისა და შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნულ ფართში მოქალაქე ცხოვრობს 1991 წლიდან დღემდე ოჯახთან ერთად.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ. თბილისში, პეკინის გამზირი #35-ში (საკ/კოდი 01.10.13.013.006.01.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მოქალაქე ბარამ ბარამიძეს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცემა პეკინის გამზ. №35-ში, მე-4 სართულზე მდებარე 48 კვმ ფართი. ბარამ ბარამიძის ოჯახი უვლიდა მის მეზობლად მდებარე ბინაში მცხოვრებ მარტოხელა პენსიონერს. ვინაიდან ის იყო მარტოხელა და გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე არ აღმოაჩნდა, ბინა დარჩა სახელმწიფოს. ქალბატონის გარდაცვალების შემდეგ 2004 წლიდან ბარამ ბარამიძე ფლობს მის საცხოვრებელ ფართს და იხდის კომუნალურ გადასახადებს. გამომდინარე იქედან, რომ ოჯახი არის 9 სულიანი და ამ მისამართზე ცხოვრობს 1957 წლიდან, ამხანაგობა და შესაბამისად რაიონის გამგეობა შუამდგომლობას უწევს მოქალაქეს აღნიშნული ფართის გადაცემაზე.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, დიღმის მასივში მე-6 კვარტლის კორპ.#19-ში (საკ/კოდი 01.13.03.032.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

დიდუბის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, თბილისში, დიღმის მასივში, მე-6 კვარტლის კორპუს N19-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც შსს-ს ინფორმაციით 1989 წლიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. 3 პირს (3 ოჯახს) გადაეცემა 3 ერთეული ფართი საერთო რაოდენობით 260 კვ.მ. სამივე ოჯახი 1989 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რომელიც 2002 წელს წარმოადგენდა შპს "ინფორმატიზაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" საკუთრებას. წარმოდგენილმა პირებმა 2010 წლის აპრილის და ივლისის თვეში გადაიფორმეს აღნიშნული ქონება საკუთრებაში, თუმცა ამავე წლის აგვისტოში საკუთრებები გააუქმა შპს "ინფორმატიზაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრმა" და უძრავი ქონება ისევ გადავიდა შპს-ს საკუთრებაში. მიუხედავად რეესტრში შეტანილი ცვლილებებისა სამივე ოჯახი დღევანდელ დღემდე წარმოადგენენ ამ ფართის ფაქტიურ მფლობელებს, გარდა ლიანა კიკნაძისა, რომელსაც ამავე კორპუსში ერიცხება საკუთრებაში ბინა (01.13.03.032.001.01.086), თუმცა ფართში მოსარგებლედ დარჩა მისი შვილი ლაშა კიკნაძე, რომელიც ითხოვს ამ ფართის დაკანონებას.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, კახეთის ხევი #5-ში (საკ/კოდი 01.17.02.069.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ისნის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქ. თბილისში, კახეთის ხევი N5-ში (საკადასტრო კოდი N01.17.02.069.014) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც მეზობლების დადასტურებით აღნიშნულ მისამართზე მუდმივად ცხოვრობენ 1995 წლიდან. 5 პირს (5 ოჯახს) გადაეცემა 5 ერთეული ფართი საერთო რაოდენობით 257.08 კვ.მ.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (საკ/კოდი: 01.16.05.032.024) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იანა ღუდუშაურისთვის (პ/ნ 01006006650) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

იანა ღუდუშაურს, პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარით გადაეცემა, დავით აღმაშენებლის გამზ. #24/რომის ქ. #4-ში მდებარე 116.6 კვ.მ. ფართის (ს/კ: №01.16.05.025.002.01.500) მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირის საფასურია - 3800 ლარი.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს : ქ.თბილისში, მიროტაძის ქუჩაზე (ყოფილი ოჟიოს) არსებული მიწის ნაკვეთების (საკ/კოდი: #01.10.13.033.926, #01.10.13.033.927; #01.10.13.033.159) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მიროტაძის ქუჩის მაცხოვრებლები ითხოვენ აღნიშნულ ქუჩაზე მდებარე, მათ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების (ს/კ: #01.10.13.033.365; #01.10.13.033.930 #01.10.13.033.921 #01.10.13.033.922) გაცვლას, მიმდებარედ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 145 კვ.მ. 2 კვ.მ. და 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთებში (ს/კ: #01.10.13.033.926; #01.10.13.033.927; #01.10.13.033.159). მოთხოვნილი მიწის ნაკვეთები გათვალისწინებულია მიროტაძის ქუჩაზე დაგეგმილი, არქიტექტურის სამსახურის 10.08.18წ. #4114819 ბრძანებით (AR1579055) დამტკიცებულ მრავალსართულიანი სახლის პროექტში. აღნიშნული ბრძანებით შეთანხმდა ტერიტორიაზე გათვალისწინებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა დავალება საპროექტო ნაკვეთების გაერთიანებული საკადასტრო გეგმის და საჯარო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა მშენებლობის ნებართვის სტადიაზე. საკითხთან დაკავშირებით პოზიცია ეთხოვა ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს. სამსახური არ არის წინააღმდეგი, მოხდეს ნაკვეთების მონაცვლეობა და ტერიტორია განვითარდეს 2011 წელს დამტკიცებული გრგ-ს კორექტირებული პროექტის შესაბამისად. ასევე არქიტექტურის სამსახურს ინფორმაცია ეთხოვა იმის შესახებ, სამსახურის მიერ შეთანხმებული და ტერიტორიაზე დაგეგმილი სამშენებლო პროექტის განხორციელება საჭიროებს თუ არა განმცხადებელთა მიერ მოთხოვნილი ნაკვეთების (ს/კ: #01.10.13.033.926; #01.10.13.033.927; #01.10.13.033.159) გამოყენებას. არქიტექტურის სამსახურის წერილის თანახმად, მოთხოვნილი ნაკვეთები მოქცეულია გრგ-ით გათვალისწინებული ერთ-ერთი გეგმარებითი ერთეულის („სექტორი-2“) საზღვრების ფარგლებში, წარმოადგენენ შეთანხმებული პროექტით განსაზღვრული ტერიტორიის ნაწილს და ამ პროექტის განხორციელება საჭიროებს მათ გამოყენებას და ათვისებას. უნდა აღინიშნოს, უძრავი ნივთები შეფასდა მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის მიღებამდე. საექსპერტო დასკვნებში მითითებულია ახალი გენგეგმის მიღებამდე მოქმედი ფუნქციური ზონები და შესაბამისი კოეფიციენტების (კ1, კ2, კ3) მაჩვენებლები. შეფასების შემდგომ, მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმით, შეფასების საგნებს მიენიჭა განსხვავებული ფუნქციური ზონა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). მიუხედავად ამ გარემოებისა, აღნიშნული განკარგულების პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული შეფასებების გათვალისწინებას და მიწის ნაკვეთების მონაცვლეობას საპრივატიზებო საფასურის გარეშე.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავ;ლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) შპს ,,ალმასთვის“ (ს/ნ 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N379 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ნინო კვეტენაძის განმარტებით სსიპ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნაში (№006754018) არასწორად იყო მითითებული საკადასტრო კოდები, თუმცა კვლევითი ნაწილი სწორია. წარმოდგენილი პროექტით ხდება საკადასტრო კოდებთან მიმართებაში კორექტირება, ხარვეზის გასწორება განკარგულების დანართში.

მომხრე - 4, ვახტანგ შაქარიშვილმა თავი შეიკავა. გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანის I მასივის ტერიტორიაზე არსებულ 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (ს/კ: №72.13.03.111) დემონტაჟის და დემონტაჟის შედეგად მიღებული მატერიალური სახის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მოქალაქე იაგო წიკლაურს, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაეცემა #72.13.03.111 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე

განთავსებული შენობის დემონტაჟის შედეგად მიღებული მატერიალური სახის ქონება, ჩამოწერის გარეშე, ჩამოწერასთან დაკავშირებული პროცედურების არიდების მიზნით.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა #50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.17.13.041.024) და ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქუჩა #50/18-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.17.13.041.025) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Unique Stay Hotels"-ისათვის (ს/ნ 406092650) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

შპს „Unique Stay Hotels"-ს აღნიშნულ მისამართზე იჯარით გადაეცემა 4 კვმ მიწის ნაკვეთი გამწვანებისათვის შემოსაზღვრული სივრცის (საყვავილის) ფუნქციონირების მიზნით. იჯარის მოქმედების ვადად განისაზღერა 2032 წლის 5 ივლისამდე პერიოდი, წლიურ საიჯარო ქირად 500 ლარი

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.11.04.011.009) და ქ.თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ 715 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.11.04.011.003) შპს „ჯი ემ ჯი"-სთვის (ს/ნ404398237) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ.

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგრტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს" და შპს „ჯი ემ ჯის" შორის 2018 წლის 5 აპრილს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურის „დიღომი ჰესის" პროექტის ფარგლებში, ჰიდროელექტროსადგურის „დიღომიჰესის" სამშენებლო ბანაკის, საწყობისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების მიზნით, შპს „ჯი ემ ჯის" იჯარით, 4 წლის ვადით გადაეცემა თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.009) და ქ.თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ 715 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.003). წლიური საიჯარო ქირის საფასურია - 116 700 ლარი.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ჟ.შარტავას ქუჩა #7-ში, შენობა-ნაგებობა #1-ში მე-14 სართულზე არსებული 392,52 კვ.მ ფართის (საკ/კოდი: 01.10.13.015.127) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროჰაბისთვის" (ს/ნ 404502098) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა კვებით მომსახურებისათვის, შპს „აგროჰაბს" სარგებლობის უფლებით იჯარით გადაეცემა, შარტავას ქუჩა N7-ში, შენობა-ნაგებობა N 1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ ფართი. იჯარის მოქმედების ვადაა 2 წელი. საიჯარო ქირის წლიური საფასური - 36 000 ლარი. ნინო კვეტენაძემ დამატებით განმარტა, რომ გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულმა კომპანიამ დააფიქსირა თვეში 500 000 ლარი, ვერ გადაიხადა და ხელშეკრულება შეუჩერდა. ამავე მიზეზით შეუჩერდა ხელშეკრულება სხვა კომპანიასაც. აქედან გამომდინარე სააგენტოს გადაწყვეტილებით მოხდა პიდაპირი განკარგვის წესით იჯარის გაფორმება.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, წყნეთის გზატკეცილი #3-ის მიმდებარედ 65 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.07.003.041) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ევროპროდუქტი"-სთვის (ს/ნ 202227134) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაოაბზე.

შპს „ევროპროდუქტს“ სარგებლობის უფლების იჯარით გადაეცემა ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეილი №3-ის მიმდებარედ 65 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.14.07.003.041), ავტოსადგომის მოწყობის მიზნით. აღნიშნული იურიდიული პირი, გადახდის განვადებით უძრავი ნივთის 17.05.2018წ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, წარმოადგენს თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N7-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ:№01.14.07.003.021.01.01.501, №01.14.07.003.021.01.01.517) მომავალ მესაკუთრეს. იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 10 წელი, საიჯარო ქირის წლიური საფასურია - 1 400 ლარი.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრაველესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N216 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

წარმოდგენილი პროექტით, საზოგადოებრივი პროტესტიდან გამომდინარე, რამოდენიმე ლოკაციაზე (4 ლოკაცია) ხდება შპს „სითი ბოქსი“-ს მიერ რეტერატების განთავსების ადგილის ადგილმონაცვლეობის, რეტერატების განთავსების ვადების გაგრძელებისა და რეტერატების განთავსების ვადების დარღვევის გამო, პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების საკითხი.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ნაკადულის ქუჩა #2 ა-ში (საკ/კოდი: 01.19.33.008.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

სამგორის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა თბილისში, ნაკადულის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი N01.19.33.008.020) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც შსს-ს დადასტურებით 1991-1993 წლიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. 5 პირს (5 ოჯახს) გადაეცემა 5 ერთეული ფართი საერთო რაოდენობით 259.67 კვ.მ სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) ლარად.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 2016 წლის 19 აპრილს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებასთან (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი - N160405188) დაკავშირებით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.

ნინო კვეტენაძის განმარტა, რომ შპს „ალმას“ 2017 წლის 18 აპრილამდე უნდა განეხორციელებინა 700 ერთეული ტრანსპორტის მოსაცდელის კონსტრუქციების მონტაჟი. კომპანიამ 200 ერთეული მოსაცდელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელა. დანარჩენი მოსაცდელების მონტაჟი ვადებში ვერ ხერხდება. ხანგრძლივი პერიოდია საჭირო მოსაცდელების მონტაჟის ნებართვების მისაღებად, მ.შ. სატრანსპორტო სამსახურთან კონკრეტული ლოკაციის შეთანხმება, მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემა-რეესტრში რეგისტრაცია, არქიტექტურასთან შეთანხმება. ზოგ შემთხვევაში, მიუხედავად არქიტექტურის სამსახურის თანხმობისა, ქონების მართვის სააგენტო ვერ ახერხებს მიწის ნაკვეთის მის სახელზე რეგისტრაციას და შესაბამისად მოიჯარისთვის გადაცემას. გამომდინარე აქედან კომპანია ითხოვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მოშლას. ქონების მართვის სააგენტო კომპანიას ათავისუფლებს მხოლოდ პირგასამტეხლოსაგან, რაც შეეხება მოსაცდელების მონტაჟის ვადებს, ვადები იგივე რჩება. პირგასამტეხლო შეადგენს 49000 ლარს.

მომხრე - 4, წინააღმდეგი - ვახტანგ შაქარიშვილი, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) #29-ში (საკ/კოდი: 01.17.11.037.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ისნის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) N29-ში (საკადასტრო კოდი N01.17.11.037.003) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც 1997-99 წლებიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. 3 პირს (3 ოჯახს) გადაეცემა 3 ერთეული ფართი საერთო რაოდენობით 203.08 კვ.მ, სიმბოლურ თანხად - 1 ლარად.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ

ნინო კვეტენაძის განმარტებით, ვინაიდან ურბანული სამსახური ახორციელებს რეორგანიზაციას და „წითელი ხაზების" ფუნქცია გადმოდის ქონების მართვის სააგენტოში, სააგენტო ფუნქციურად უფრო მეტად დატვირთული იქნება. აქედან გამომდინარე შესათანხმებლად წარმოდგენილია თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოში რეორგანიზაციის დაწყება, რათა განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.13.07.021.321) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სს „ სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყარო" ითხოვს კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიმდებარედ ტერიტორიის შესყიდვას პირდაპირი განკარგვის წესით. კომპანიას დაგეგმილი აქვს 2017 წელს გაჩენილი ხანძრის შედეგად დამწვარი „ბავშვთა სამყაროდ" ცნობილი სავაჭრო ცენტრის აღგენა და ფუნქციონირება. კომპანია გამოთქვამს მზადყოფნას 364 კვმ მიწის ნაკვეთი შეიძინოს საბაზრო ღირებულებით. საპრივატიზებო მიწის ნაკვეთიდან 160 კვმ მიწის ნაკვეთს იჯარით ფლობს შპს „ნიუ სთარი". მოიჯარე თანახმაა სს „სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყარო"-ს საკუთრებაში გადაეცეს მიწის ნაკვეთი იმ პირობით, თუ მიმდებარედ ტერიტორიაზე გათვალისწინებულ სავაჭრო კომპლექსში მას გაუგრძელდება იჯარა იმ პირობით და ვადით, რა ვადითა და პირობითაც სარგებლობს ეხლა. კომპანია თანახმაა ამ პირობაზე, ამასთანავე მუნიციპალიტეტს გადაუხდის იმ საიჯარო ქირას, რაც შპს „ნიუ სთარს" უნდა გადაეხადა. საპრივატიზებო თანხაა 840 000 ლარი. საპრივატიზებო პირობას წარმოადგენს, პრივატიზების საგნის ტერიტორიის არეალში უსასყიდლო საზოგადოებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი სივრცის მუდმივად შენარჩუნება ტერიტორიაზე გათვალისწინებულ ობიექტში.

აზრი გამოთქვა :

ვატო შაქარიშვილმა იკითხა რატომ ხდება, რა აუცილებლობას წარმოადგენს მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით პრივატიზება.

ნინო კვეტენაძემ დამატებით განმარტა, ვინაიდან აუქციონი არ გამორიცხავს სხვა პირის მხრიდან მის შეძენას და ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს დაგეგმილი პროექტის განხორციელებაში, ამავე დროს ეს ტერიტორია ისეთი კონფიგურაციითაა, რომ დამოუკიდებლად მისი განვითარება ვერ მოხერხდება ამან განაპირობა პირდაპირი წესით პრივატიზება.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი №89-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.24.008.002.01.523) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მოქალაქე ზაირა შამოევას პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 24,05კვმ ფართი. მოქალაქე 1999 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ ფართში.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №117-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.099) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ისნის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N117-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.099) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც მეზობლების დასტურით 2009 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. 5 პირს (5 ოჯახს) გადაეცემა 7 ერთეული ფართი საერთო რაოდენობით 259.96 კვ.მ სიმბოლურ თანხად - 1 ლარად.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ. და 1680 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (ს/კ: №01.14.06.006.091; №01.14.06.006.092) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

შპს „ელიტ ინვესტ"-ს ილია ჭავჭავაძის გამზირზე, დოსააფის შენობის მიმდებარედ მის საკუთრებაში არსებულ 1819 კვმ მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის სანაცვლოდ, გადაეცემა უნივერსიტეტის ქუჩაზე 3000 კვმ და 1680 კვმ მიწის ნაკვეთები. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის უმეტეს ნაწილს მიენიჭა „სარეკრეაციო ზონა 1"-ისა და „სატრანსპორტო ზონა 1" -ის სტატუსი. კომპანია ბიუჯეტში გადაიხდის 62000 ლარს, მიწის ნაკვეთების ფასთა შორის სხვაობას.

აზრი გამოთქვა:

ვახტანგ შაქარიშვილმა სთხოვა ნინო კვეტენაძეს მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რამდენი განცხადებაა შესული ქონების მართვის სააგენტოში მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით და რამდენი დაკმაყოფილდა.

მომხრე -5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი მარტის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ ქონების მართვის სააგენტოს ეცნობა რომ იგეგმება ქალაქ თბილისის მასშტაბით ე.წ. bus line-ის მოწყობა და აღნიშნულ პროექტის არეალში ხვდება 15 ლოკაცია რომელიც სააგენტოს მიერ განიკარგა შპს „ქართლიენერჯზე". აქედან გამომდინარე ცვლილება შედის „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული

აუქციონის წესით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის N19.203.308 განკარგულებაში. ცვლილება შეეხება ორ საკითხს:

1. კომპანიას საიჯარო პირობების მიხედვით ვალდებულება ჰქონდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში მოეხდინა ელ. აბონენტად რეგისტრირება ყველა ობიექტის. აღნიშნული ვადის არსებობა აღარ არის რელევანტური, რადგან იცვლება გადაცემული ლოკაციების ნახევარი. შესაბამისად კომპანია ვერ უზრუნველყოფს მითითებულ ვადაში ელ. აბონენტად რეგისტრირებას.

2. განკარგულების დანართ № 2-ში მოცემული 30 ლოკაციიდან იცვლება 15 ლოკაცია და ყალიბდება ახალი რედაქციით.

მომხრე - 5; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა